ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი" შორის

ქ. ქუთაისი „01" "04" "2024 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია მერის იოსებ ხახალეიშვილის სახით და ააიპ ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი"(ს/კ 204415935) აღმასრულებელი დირექტორის ლელა ცისკარიშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის პრინციპით, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობის და საერთო ინტერესების შესაბამისად, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.
მემორანდუმის მიზანი

1. ქუთაისის მუნიციპალიტეტში ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისთვის ფსიქიატრიული სერვისების გაუმჯობესება.

2. პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა" ფარგლებში, 2024 წელს ააიპ ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი", ქუთაისის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით განახორციელებს, ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის მიწოდებას, კერძოდ: როგორც ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას - ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ფსიქიატრის კონსულტაციების და საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტებით უზრუნველყოფა მოხდება ქუთაისის მერიის წილობრივი ფინანსური მხარდაჭერით, რომელიც განისაზღვრება 10 000 /ათი ათასი/ ლარით. პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 947368 /ცხრაასორმოცდაშვიდი ათას სამას სამოცდარვა/ ევროს.

3. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 20 ბენეფიციარისა.

მუხლი 2.
მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

ა). ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას:

2024 წლის განმავლობაში, პროექტის „ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ძალადობის მსხვერპლი ქალების ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფა" ფარგლებში გამოუყოს 10 000 ლარი ა(ა)იპ ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრს".

ბ) ააიპ ,,წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი"

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით განახორციელებს, ქუთაისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისათვის ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიწოდებას, კერძოდ: როგორც ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას - ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის

მომსახურებას, ასევე ფსიქიატრის კონსულტაციას და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიატრის მიერ დანიშნული მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

მუხლი 3.
პროექტის ანაზღაურების წესი

ა.) ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია 2024 წელს პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად გამოყოფს თანხას 10 000 ლარის ოდენობით ეტაპობრივად.

ბ) წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება, განხორციელდება წინასწარ, ყოველკვარტალურად, რომლის შემდეგაც „ორგანიზაცია" ვალდებულია მერიას წარუდგინოს აღნიშნული გადახდილი ავანსის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მერიაში თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ორგანიზაციასა და მერიას შორის გაფორმდება ორმხრივი მიღება-ჩაბარების აქტი. ყოველი ახალი გადარიცხვა განხორციელდება ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

გ) მიმწოდებელი ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას შესრულებული სამუშაოს შესახებ ფინანსურ ანგარიშს წარუდგენს კვარტალში ერთხელ. ფინანსურ ანგარიშზე თანდართული იქნება გაწეული კონსულტაციების, მედიკამენტების გაცემისა და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მერიის მიერ გადარიცხული თანხის ფარგლებში. ანაზღაურებას არ დაექვემდებარება შემთხვევა, როდესაც მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საანგარიშგებო დოკუმენტაციის მონაცემები არ ემთხვევა შემოწმებისას დადგენილ ფაქტებს/მონაცემებს.

მუხლი 4. მემორანდუმში ცვლილებების შეტანა

მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნულ ურთიერთშეთნხმების მემორანდუმში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები. ცვლილება წარმოადგენს წინამდებარე ურთიერთშეთნხმების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 5. მემორანდუმის ძალაში შესვლა

მემორანდუმი შესრულებულია 2 ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

წინამდებარე ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

ხელმომწერ ორგანიზაციათა რეკვიზიტები:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
იოსებ ხახალეიშვილი

212721170

ააიპ „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური
და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი"
აღმასრულებელი დირექტორი
ლელა ცისკარიშვილი

204415935